საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

2013 წლის 17 იანვრის

დადგენილება №844

სტუ-ს დოქტორანტურაში მიღების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. გამოცხადდეს მიღება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამების სწავლების პირველ წელზე.
2. დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველთა საბუთების მიღების ვადაა 2013 წლის 8 თებერვლიდან 14 თებერვლის ჩათვლით.
3. დამტკიცდეს ფაკულტეტების სადისერტაციო საბჭოების მიერ წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამების შესაბამისი ვაკანსიები.
4. ინფორმაცია დოქტორანტურაში მიღების შესახებ, სადოქტორო პროგრამები და შესაბამისი ვაკანსიები, აგრეთვე დოქტორანტურაში ჩასარიცხი კანდიდატების მიერ წარმოსადგენი საბუთების ნუსხა და დოქტორანტურაში ჩარიცხვის პირობები განთავსდეს სტუ-ს ვებგვერდზე..
5. ჩარიცხვა დასრულდეს 2013 წლის 18 თებერვლამდე.
6. დამტკიცდეს ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტისათვის დროებითი კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით.

სხდომის თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე